პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 26 ივნისი, 1943 წ. № 136 (6761). ფასი 20 კაპ.

ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ დროულად და ხარისხოვნად

სამხედრო ტემპებით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საბრძოლო ამოცანაა. ამჟამად ჩაის მწვანე ფოთოლი უხვად არის შემოსული. ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის პატრიოტული ვალია ორგანიზებულად მოაწყონ ჩაის კრეფა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ ყოველდღიურად, განუწყვეტლივ, არ დავუშვათ ფოთლის გაუხეშება, და ამით მთლიანად და გადამეტებით შევასრულოთ ჩაის კრეფის გეგმები. ქობულეთელ კოლმეურნეთა მიმართვის საფუძველზე ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. მთელი რიგი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას, რომელმაც მაისის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის კრეფის ივნისის გეგმა.

დიდი სამამულო ომის დღეებში ჩაის პლანტაციებში ყოველდღიურად იზრდება სტახანოველთა რიცხვი. ქალები, მოხუცები და მოზარდები, აღფრთოვანებულნი ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით, გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რომ ჩვენს ქვეყანასა და მგრძ წითელ არმიას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი. ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ციცინო ბიგვავა, ოლია ჯიქია, მარო სალია ჩაის კრეფის ყოველდღიურ ნორმებს 240-260 პროცენტით ასრულებენ, ხოლო კოლმეურნე ხუხუ ცხადაია 350 პროცენტით. მსგავსი მაგალითები ბევრია.

უკანასკნელ დროს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები გააძლიერეს მახარაძისა და ქობულეთის რაიონებმა.

ტრესტ „საქჩაის“ 20 ივნისის ცნობებით ჩაის ფოთლის კრეფაში მკვეთრი ჩამორჩენა გრძელდება ცხაკაიას, წულუკიძის და ლანჩხუთის რაიონებში. წულუკიძის რაიონის სოფ. დედალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ქალთა და მოზარდთა შრომა მთლიანად არ არის გამოყენებული და ამის შედეგად საგრძნობლად ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. შავლაყაძე ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს არ იღებს. წულუკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას დიდი გარღვევა აქვს ჩაის ფოთლის კრეფაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ჭანტურიშვილი დამშვიდებული შესცქერის ამ მდგომარეობას. უკანასკნელ ხუთდღიურში ჩაის ფოთლის კრეფა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ზუგდიდის რაიონში. ზუგდიდის რაიონმა უნდა განამტკიცოს წინა თვის მიღწევები. ჩაის კრეფის ტემპები არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ოჩამჩირის, გუდაუთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ხობის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ გადაჭრით გააძლიერონ კრეფის ტემპები და უახლოეს დღეებში გამოასწორონ ჩამორჩენა. ამისათვის საჭიროა მთელი შრომისუნარიანი მუშახელი გამოყენებულ იქნეს ჩაის ფოთლის კრეფაზე, უნდა უზრუნველვყოთ ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენება.

ტემპებთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხის დაცვას. ფოთლის ხარისხს გაუარესებას ძირითადად იწვევს მისი დაგვიანებით კრეფა. უნდა ითქვას, რომ ზუგდიდის, ქობულეთის, წალენჯიხის, ბათუმის, ცხაკაიას, გალის რაიონებში სერიოზული ყურადღება ექცევა ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მაგრამ ყველგან ასე როდია. მაგალითად, 20 ივნისისათვის ჩოხატაურის რაიონში მოკრეფილი ფოთლის მთელი რაოდენობიდან პირველი ხარისხისა იყო მხოლოდ 34,2 პროცენტი, წულუკიძის რაიონში 32,3 პროცენტი, გეგეჭკორის რაიონში — 34,1 პროცენტი. ზოგიერთი რაიონის სამეწარმოქმედო განყოფილების მუშაკი გატაცებულია მხოლოდ გეგმის რაოდენობრივი შესრულებით და ყურადღებას არ აქცევს ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ივიწყებენ, რომ ხარისხის გარეშე არ არსებობს გეგმის შესრულება. მაგალითად, წყალტუბოს რაიმიწგაწის გამგე ამხ. კაშბაძე „კომუნისტის“ რედაქციას ატყობინებს, რომ 23 ივნისისათვის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის თვიური გეგმა და არაფერს ამბობს ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მართალია ამ რაიონმა კრეფის ივნისის გეგმა ვადამდე შეასრულა, მაგრამ ძალიან დაბალია საერთოდ ხარისხობრივი მაჩვენებლები. საჭიროა შექმნილი მდგომარეობიდან რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ყველა საჭირო დასკვნა გააკეთონ და მკვეთრად დაიცვან ხარისხობრივი მაჩვენებლები. ჩაის ფოთოლი უნდა ვკრიფოთ ყოველდღიურად, განუწყვეტლივ და მაღალხარისხოვნად. ამხ. **ლ. ბ. ბერია** თავის დროზე მიგვითითებდა: „საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ფოთოლი მოიკრიფოს დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით“.

ამასთან ერთად საჭიროა დროულად ჩავატაროთ ჩაის პლანტაციების გათხნა, დავიცვათ ისინი სარეველა ბალახებისაგან, რომ წელს უზრუნველვყოთ ჩაის მეტი ფოთლის მიღება. განუხრელად განვახორციელოთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებანი, უდანაკარგოდ ავიღოთ ჩაის მთელი მოსავალი და მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულოს ყველა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ თევდორე ვასილის-ძე გლადკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დაბადებიდან 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, მწერალი თევდორე ვასილის-ძე **გლადკოვი**, წინათ დაჯილდოებული ლენინის ორდენით, დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 20 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ლიუდას კონსტანტინეს-ძე გირას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას ლიტველი მწერალი ლიუდას კონსტანტინეს-ძე **გირა შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 23 ივნისი.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით

1. **ხვედელიძე** გრიგოლ ერასტის-ძე პოლიტხელი
2. **კაკაურიძე** იოსებ ტარასის-ძე—წითელარმიელი
3. **ფერაძე** პეტრე ერზოტის-ძე—წითელარმიელი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **იაშვილი** იასონ ილიას-ძე—კაპიტანი
2. **აბრამიძე** ლეო ვარზეკის-ძე—უფროსი სერჟანტი
3. **დვალიშვილი** დავით ვასილის-ძე—უფროსი ლეიტენანტი
4. **დუმბაძე** სერგო ვასილის-ძე—უფროსი ლეიტენანტი
5. **კაპანაძე** დავით ბესარიონის-ძე—ზემდეგი
6. **ლიპარტელიანი** ამბაკო ივანეს-ძე—უფროსი ლეიტენანტი
7. **ჩაჩიბაია** კონსტანტინე ძუკუს-ძე—სანინსტრუქტორი
8. **მაჩაბელი** გიორგი ირაკლის-ძე—ლეიტენანტი
9. **ჭანუყვაძე** ნიკოლოზ სპირიდონის-ძე—უფროსი სერჟანტი
10. **დოლიძე** ვლასი ონოფრეს-ძე—უმცროსი პოლიტხელი
11. **კაჭახიძე** ავქსენტი ესეს-ძე—უმცროსი ლეიტენანტი
12. **ჩალაძე** მალაქია ივანეს-ძე—სანინსტრუქტორი
13. **შელია** კონსტანტინე კუტუსის-ძე—პოლიტხელი
14. **ბაღაშვილი** ნიკოლოზ სიმონის-ძე—წითელარმიელი
15. **ნადირაშვილი** ანდრია მიხეილის-ძე—უფროსი სამხედრო ფერშალი
16. **ტრაპაიძე** ლავრენტი სილიბისტროს-ძე—უფროსი სამხედრო ფერშალი
17. **ბერია** მაკარი გრიგოლის-ძე—სახ. უმიშროების სერჟანტი
18. **კაპანაძე** იოსებ მარკოზის-ძე—სახ. უმიშროების სერჟანტი
19. **ჭუმბაძე** ამბროსი სპირიდონის-ძე—ლეიტენანტი
20. **ჩხარტიშვილი** მიხეილ დავითის-ძე—სერჟანტი
21. **არსენიშვილი** ვლადიმერ გიორგის-ძე—ლეიტენანტი
22. **ალიმბარაშვილი** იოსებ გიორგის-ძე—უფროსი სერჟანტი
23. **კუბავა** შალვა იონას-ძე—სახ. უმიშროების ლეიტენანტი
24. **ბარამიძე** ვარლამ არსენტის-ძე—უმცროსი ლეიტენანტი.

ქრონიკა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ნ. კოსიგინი და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ხ. ხლოვი მისი სამხედრო სამუშაოზე გადასვლის გამო.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა და მათ მიერ სსრ კავშირის მოქალაქეებისა, კოლმეურნეობებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის დამდგენ და გამომკვლევ საგანგებო სახელმწიფო კომისიაში

საგანგებო სახელმწიფო კომისიაში კვლავ შემოდის აქტები, დაზარალებულთა განცხადებები, დამსწრეთა ჩვენებანი ბოროტმოქმედებათა შესახებ, რასაც გერმანელი ხელისუფალნი სრადიან იმ საბჭოთა რაიონებში, რომლებიც დროებით მოხვდნენ ფაშისტურ უღელქვეშ.

1. გერმანელი ოკუპანტები სპობენ სიძველეთა ძეგლებს, იტაცებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის საგანძურებს, ძარცვავენ სამეცნიერო დაწესებულებებს, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს.

გერმანელთა უმაღლესი სარდლობის და „აღმოსავლეთის ოკუპირებული ოლქების საქმეთა საიმპერიო მინისტრის“ ალფრედ როზენბერგის ბრძანებით სსრ კავშირიდან გერმანიაში გააქვთ XIV, XV, XVI საუკუნეთა წიგნები, რუს და დასავლეთ-ევროპელ ოსტატთა მიერ შესრულებული ფერწერის, გრაფიკის და სკულპტურის ორიგინალური ნაწარმოებნი.

1943 წლის იანვარში 1-ლი სატანკო არმიის სარდალმა კავალერიის გენერალმა მაკენზენმა 1-ლი სატანკო არმიის პროპაგანდის განყოფილების უფროს მიღერის თანდასწრებით როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმიდან, რომელიც ევაკუირებული იყო ქალაქ პიატიგორსკში და მოთავსებული იყო ლერმონტოვის მუზეუმის სადგომში, წაიღო რაფაელის, რუბენსის, მურილიოს, იორდანსის, ვერეშჩაგინის, კოროვინის, კრამსკოის, პოლენოვის, რეპინის, ლაგორიოს, აივაზოვსკის, შიშკინის ყველაზე უფრო ძვირფასი ტილოები, დონპელოს ქანდაკებანი და სხვა ექსპონატები.

ქვემოთ ქვეყნდება აქტი როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმიდან გერმანელ ხელისუფალთა მიერ განძეულობათა გაზიდვის შესახებ.

„აქტი

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერლებმა, პიატიგორსკის ქალაქის საბჭოს საკონსულტაციო-ტექნიკური ბიუროს კულტსექციის თავმჯდომარემ ვიქტორ ივანეს-ძე ბულანინმა, როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმის განძეულობათა მცველმა ალექსანდრე აბრამის-ძე მიტნიკოვმა და ლიტერატურული მუზეუმის „ლერმონტოვის სახლის“ დირექტორმა ელისაველ ივანეს-ასულმა იაკოვლევამ, შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე:

როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმის განძეულობანი ევაკუირებულ იქნა პიატიგორსკში, სადაც ინახებოდა 1942 წლის 4 იანვრიდან ლიტერატურული მუზეუმ „ლერმონტოვის სახლის“ სადგომში 1943 წლის 7 იანვრამდე, როცა მუზეუმის მნიშვნელოვანი ნაწილი გაზიდულ იქნა გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ.

როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმის განძეულობანი, რომლებიც ევაკუირებული იყო დონის როსტოვიდან და შესდგებოდა ფერწერის, გრაფიკის და სკულპტურის რუს და დასავლეთ-ევროპელ ოსტატთა ორიგინალურ ნაწარმოებთაგან, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთის ფაბრიკების ძვირფასი ფაიფურისაგან, რაც ჩალაგებული იყო სპეციალურ ყუთებში, მიუხედავად მიღებული ზომებისა, არ მოხერხდა გაგვეტანა პიატიგორსკიდან, და ამიტომ გერმანელთა ოკუპაციის დროს ისინი ლერმონტოვის მუზეუმის საწყობებში ინახებოდა.

პირველ ხანებში როსტოვის მუზეუმის განძეულობებს ლერმონტოვის მუზეუმის შუშაკები უმალავდნენ გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთ. 7 სექტემბერს ბერლინის როზენბერგის კომისიის წარმომადგენლები გამოცხადნენ ლერმონტოვის მუზეუმის დირექტორთან. განაცხადეს, როსტოვში გვაცნობეს, რომ როსტოვის მუზეუმის განძეულობანი ლერმონტოვის მუზეუმის საწყობებში ინახებიო, და წინადადება მისცეს დირექტორს გაიღო საწყობები და გაეცნო მათთვის, თუ რაა შეიცავდნენ როსტოვის მუზეუმის განძეულობანი. ამის შემდეგ საწყობები დაბეჭდეს გერმანელმა ხელისუფლებმა.

1942 წლის 7 სექტემბრიდან 1943 წლის 7 იანვრამდე გენერალ მაკენზენის გერმანელთა არმიის პროპაგანდის განყოფილების წარმომადგენლებმა არა ერთხელ გასწნეს ყუთები. ამ გასწნისას ხდებოდა ყველაზე უფრო ძვირფასი ექსპონატების ამოღება, ამასთან ამ ამოღებას ზოგჯერ თვითონ გენერალი მაკენზენი ესწრებოდა.

1943 წლის 7 იანვარს, პროპაგანდის განყოფილების უფროს მიღერის პირადი განკარგულებით, მისი თანდასწრებით და ჯენერალ მაკენზენის წარმომადგენლის თანდასწრებით განძეულობანი 14 ყუთისა ნომერი 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 12, 13, 14, 16, 20, 22—გადაალაგეს 12 ყუთში და წაიღეს პიატიგორსკის ვაგზალზე, ჩატვირთეს რკინიგზის ვაგონებში და 1943 წლის 8 იანვარს ღამით გაიტანეს ქ. პიატიგორსკიდან.

აქტს ხელს აწერენ: პიატიგორსკის ქალაქის საბჭოს საკონსულტაციო-ტექნიკური ბიუროს კულტსექციის თავმჯდომარე ბულანინი, როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმის განძეულობათა მცველი მიტნიკოვი, ლიტერატურულ მუზეუმ „ლერმონტოვის სახლის“ დირექტორი იაკოვლევა.

24 თებერვალი

ქ. პიატიგორსკი“.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ როსტოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმის გაძარცვის ფაქტი მოწმობს იმას, რომ ჰიტლერის მთავრობა და გერმანელთა სამხედრო ხელისუფალნი ოკუპირებულ რაიონებში ძარცვა-გლეჯის სულისამდგომელნი და ორგანიზატორები არიან. უცილობლად დადგენილია, რომ გერმანელი გენერლები პირადად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ხალხების კუთვნილ კულტურულ განძეულობათა დატაცებაში.

2. კურსკის ოლქის სოფელ საპოგოოში გერმანელთა ოკუპანტებმა მოწამლეს ათასამდე ავადმყოფი, რომელნიც საძკურნალოდ იმყოფებოდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ამ საბარელ ბოროტმოქმედებას მოწმობს ქვემოთ გამოქვეყნებული შემდეგი დოკუმენტი:

„აქტი

1943 წლის 28 თებერვალს ქვემორე ხელის მომწერლებმა, მშრომელთა დეპუტატების კურსკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა მალცევმა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა III რანგის სამხედრო ექიმმა შვარცმა, ხსენებული საავადმყოფოს უფროსმა სამედიცინო დამ ეკატერინე ივანეს-ასულმა არეფიევამ, აგრეთვე საავადმყოფოს სამედიცინო დამ ირინე სიმონის-ასულმა ტკაჩენკომ, კურსკის ოლქის სოფელ საპოგოოში შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე:

1941 წლის დეკემბერში, როგორც კი გერმანელმა ფაშისტებმა დამპყრობლებმა დაიკავეს ქალაქი კურსკი და კურსკის ოლქის რაიონები, საპოგოოს საოლქო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ მოაწყეს აღნიშნულ საავადმყოფოში სამკურნალოდ მყოფ ავადმყოფთა მასობრივი დახოცვა.

საავადმყოფოს თანამშრომელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვის გზით კომისიამ გამოარკვია, რომ ავადმყოფთა მასობრივი დახოცვა ხდებოდა ქლორალიდრატის 70-პროცენტიანი ხსნარით მათი მოწამვლის გზით, რასაც ავადმყოფებს აძალებდით წესით ამშვიდენენ.

სულ დახოცილ იქნა ათასამდე ავადმყოფი, რომელნიც იმ დროს სამკურნალოდ იყვნენ საავადმყოფოში.

მოწამლული და დახოცილი ავადმყოფები გერმანელ ხელისუფალთა ბრძანებით, დასაფლავებულ იქნენ ხვრელ-ბომბსაფრებში, რომლებიც საავადმყოფოს ტერიტორიაზეა.

საავადმყოფოს მე-7 და მე-9 განყოფილებათა პირდაპირ მდებარე ორ ასეთ ხვრელ-ბომბსაფრის გათხრისას აღმოჩნდა, რომ დახოცილნი მასობრივად დაესაფლავებინათ. მარტო ამ ორი ხვრელიდან ამოღებულ იქნა 300-მდე ადამიანის ნეშტი.

ავადმყოფთა მასობრივი დახოცვის მოსწყობად 1942 წლის დამდეგს სოფელ საპოგოოში სპეციალურად ჩავიდა ქალაქ კურსკის გერმანელთა გარნიზონის უფროსი — ჯენერალი, რომელმაც უშუალოდ გაუწია ინსტრუქტაჟი გერმანელების მიერ დანიშნულ საავადმყოფოს დირექტორ კრასნოპოლსკის, თუ რა გზით ეწარმოებინა ავადმყოფთა მოწამვლა.

ამ შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედების დამსწრეებმა—პელაგია ივანეს-ასულ ბოკენკოს, ვალენტინა ვასილის-ასულ მაშკინას, საავადმყოფოს კომენდანტ კონსტანტინე ნიკიტას-ძე ფილისტინს, ეკატერინე ტიმოთეს-ასულ გრეჩუხინას და მრავალ სხვათა სიტყვით, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ავადმყოფთა დახოცვა მათი მოწამვლის გზით მოეწყო 3-4 დღის განმავლობაში. ამასთან ზოგიერთი ავადმყოფი, მიუხედავად იმისა, რომ სულიერად იყო დაავადებული, მიხვდა, რომ მისი მოწამვლა უნდოდათ, წინააღმდეგობას ეწეოდა და საწამლავის მიღებას უარობდა. ასეთ შემთხვევებში მათ ძალად ასმევდნენ საწამლავს.

მოწამლულთა მასობრივი დასაფლავების დროს იყო შემთხვევები, როცა ხვრელებში ჩაჰყარეს ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანები, ხოლო 2-3 შემთხვევაში იქ ჩაყრილი ავადმყოფები კიდევაც ამოვიდნენ ხვრელებიდან და დაბრუნდნენ საავადმყოფოში, რის შემდეგ მათ საწამლავი განმეორებით მისცეს.

ვინაიდან ზოგიერთი ხვრელში დასაფლავება დაუდევრად და არაღრმად მოხდა, იყო შემთხვევები როცა ძაღლები საავადმყოფოს ტერიტორიაზე დაათრევდნენ ადამიანის გვამთა ნაგლეჯებს.

რის თაობაზეც შედგენილია ეს აქტი.

აქტს ხელს აწერენ: მალცევი, შვარცი, არეფიევა და ტკაჩენკო. კურსკის ოლქის სოფელ საპოგოოო“.

3. ხარკოვის ოლქის ქალაქ კუპიანსკიდან გერმანელთა გადაყვანის შემდეგ მოსახლეობამ აღმოაჩინა 8 ორმო, რომლებშიც ჩაყრილი იყო 248 მხეცურად წამებული და დახვრეტილი საბჭოთა ადამიანი. ორმოები გათხარა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ უკრაინელი მწერალი კ. გორდიენკო, ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი დეკანოზი იოანე პროტოპოპოვი, დიასახლისი ბელოცერკოვსკაია, ექიმები პ. გოგინი, ვ. კოშჩეევი, რ. გარნიცინი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ტუგაი.

„აქტი

ქალაქ კუპიანსკის მოქალაქეებმა გვაცნობეს, რომ გერმანელმა ოკუპანტებმა დახვრიტეს ქალაქ კუპიანსკისა და კუპიანსკის რაიონის მშვიდობიან მცხოვრებთა დიდი ჯგუფი. კომისიამ საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოსახლეობის, საეკლესიო მრევლის წარმომადგენელთა და საექიმო-სამედიცინო დარგის მუშაკთა შემადგენლობით 1943 წლის 17 მაისს ქალაქ კუპიანსკის მელოვაიას მთის ძირთან ხრამში დაათვალიერა ორმო, რაზედაც შედგენილია ეს აქტი.

ორმოს გათხრისას, ერთი მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილი იქნა ქალაქ კუპიანსკისა და კუპიანსკის რაიონის დახვრეტილ მცხოვრებთა 71 გვამი. მათ შორის იყო 62 მამაკაცის გვამი, 8 ქალისა და 1 ძუძუმწოვარი ბავშვის გვამი. ყველა დახვრეტილი უფეხსაცმლოდაც იყო, ხოლო ზოგიერთი უტანსაცმლოდაც.

კომისიის საექიმო-სამედიცინო ნაწილმა დადგინა, ყველა აღმოჩენილ სამოზნეებს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 3 ავტომანქანა და 6 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, დანგრეულია 2 ბლინდაჟი და სათვალთვალო პუნქტი. საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც ჰაერში პატრულობდნენ, გზა გადაუღობეს მტრის თვითმფრინავთა ჯგუფს და ბრძოლა გაუმართეს მათ. ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში მოსპეს გერმანელთა 6 თვითმფრინავი. გვარდიის კაპიტანმა ალეილიუხინმა ჩამოაგდო გერმანელთა ბომბდამშენი. ეკიპაჟის შემადგენლობიდან ორი მფრინავი ტყვედ არის წამოყვანილი. მტრის თითო თვითმფრინავი ჩამოაგდეს გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ერშოვმა. უმცროსმა ლეიტენანტმა მიხაილოვმა და უფროსმა ლეიტენანტმა გოლოვაჩევმა. გერმანელთა 2 ავიაგამანადგურებელი „მესერშმიტ-109“ მოსპეს გვარდიის ლეიტენანტმა კოსტირკომ და გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ტარასოვმა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა 85 ჰიტლერელი გასწყვიტეს. გერმანელთა თავდატეითს ნაგებობებზე ცეცხლითი თავდასხმებით საბჭოთა არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 14 ძლიერწური საცეცხლე წერტილი, 12 ბლინდაჟი და აფეთქეს საომარი მასალის საწყობი. ერთ უბანზე ნაღმმტყორცნელებმა აღმოაჩინეს მტრის თავმოყრილი ქვეითი ჯარი და სროლა აუტეხეს მას. გერმანელები აქეთ-იქით გაიქცნენ. ამით ისარგებლეს ჩვენმა მსროლელებმა. სნაიპერებმა ამხ. ნასედკინმა, ბარდუკოვმა, კულაკოვმა, პრიხოდკომ, როდიონოვმა, ბარანოვმა და სავინმა 20 გერმანელი ჯარისკაცი დახოცეს.

* * *

ივნისის პირველ ნახევარში რამდენიმე უკრაინულმა პარტიზანულმა რაზმმა მთელი რიგი დარტყმები მოახდინა მტრის მიმოსვლის გზებზე. პარტიზანე ამფეთქებლები რკინიგზების უაღრესად მნიშვნელოვან უბნებზე მოქმედებდნენ და ლინდაგიდან გადაადგეს მტრის 25 ეშელონი ცოცხალ ძალისანად, საომარ ტექნიკისანად და საწვავისანად. დამტვრეულია 173 ვაგონი, 116 პლატფორმა, 124 ავტომანქანა, რამდენიმე ტანკი და ცისტერნი ბენზინიანად.

* * *

პოლონელმა პატრიოტებმა დახოცეს 8 გერმანელი ოფიცერი და მოხელე. რეკონესენი მოკლულია გერმანელი გერმან ბოლვეგი, რომელიც გერმანიის კატორღაში პოლონელების იძულებით გაგზავნას ხელმძღვანელობდა. რადომში მოკლულია ფაშისტი მოხელე ოსვალდ ფრუბუსი. რადომის მახლობლად პოლონელმა პატრიოტებმა ლინდაგიდან გადაადგეს გერმანელთა მატარებელი საომარ მასალიანად. ოსვენციმის რაიონში შეიარაღებულ პოლონელთა ჯგუფმა სროლა აუტეხა მატარებელს, რომელშიც გერმანელი ჯარისკაცები ისხდნენ.

* * *

ბერლინის რადიომ 24 ივნისს გადასცა ცნობა: „გერმანელთა ჯარებს იერიში მიუქონდათ საბჭოთა ჯარების პოზიციებზე ფრონტის უბანზე დემიანსკის რაიონში. ავრეთვე ილმენის ტბის სამხრეთით. ამ იერიშების შედეგად მოსპობილ იქნა მტრის ურიცხვი თავდაცვითი პუნქტი, ბევრი ბლინდაჟი და ტყვედ წამოყვანილ იქნა საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდი რაოდენობა“.

გერმანელთა ამ ცნობაში ერთი სიტყვაც არ არის მართალი. ილმენის ტბის სამხრეთით მდებარე რაიონში უკვე დიდი ხანია სრული სიწყნარე სუფევს. ჰიტლერელებს ფრონტის ამ უბანზე არც ერთი იერიში არ მოუტანიათ, არც ერთი თავდაცვითი პუნქტი არ მოუსპიათ, არ შეეძლოთ წაეყვანათ და არც წაუყვანიათ ტყვედ საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების არც დიდი და არც მცირე რაოდენობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბერლინის რადიოს ეს ცნობა მთლიანად სიცრუეს წარმოადგენს.

ბერლინიდან

ინგლისიდან

ამერიკიდან

მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მეორე წლისთავთან დაკავშირებით

ნიუ-იორკი, 21 ივნისი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). ეიზენჰაუერმა საკდესის კორესპონდენტს გადასცა შემდეგი განცხადება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მეორე წლისთავის გამო: „მთელი მსოფლიოს თავისუფალი ადამიანები მიესალმებიან რუსეთს დღეს, გერმანიის წინააღმდეგ მისი ბრძოლის მეორე წლისთავზე. რუსი ჯარისკაცების მამაცობა ახლა ლეგენდარულია ისევე, როგორც ვაჟკაცობა, ენერგია, სიმტკიცე, მიზანმიმსწრაფველობა, თავდადება, რომლებითაც ფრონტის ხაზს იქით მუშაობას ეწევიან რუსეთის მილიონობით მუშები. რუსეთი დღეს წარმოადგენს ევროპაში დემოკრატიის მსხვილს, ვინაიდან რუსმა ხალხმა გადასწყვიტა მოსპოს ჰიტლერიზმი და ამ გადაწყვეტილებამ მოკავშირეთა საქმეს მისცა დრო, ძალა და მამაცობა“.

საბჭოთა კავშირს მისალმებებით მიმართეს აგრეთვე იუსტიციის მინისტრმა ბიდლმა, ვაჭრობის მინისტრმა ჯონსმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა, ბ-ნმა სტეტინიუსმა, ა. შ. შტატების შრომითი რეზერვების მობილიზაციის სამმართველოს დირექტორმა მაკნატსმა, ბრიტანეთის ელჩმა ა. შ. შტატებში ლორდმა ჰალიფაქსმა, მექსიკის თავდაცვის მინისტრმა კარდენასმა და სხვებმა.

მიზგინგები ა. შ. შვაბეთში, ავსტრალიასა და კანადაში საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მეორე წლისთავის გამო

ნიუ-იორკი, 23 ივნისი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ბალტიმორაში, ჰოლიუდსა და ა. შ. შტატების სხვა ქალაქებში საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მეორე წლისთავის დღეს შემდგა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც მოაწყო ომში საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმომჩენმა კომიტეტმა. ასეთივე მიტინგები შესდგება ამ კვირაში ნიუ-იორკსა და სხვა დიდ ქალაქებში.

ჩიკაგოში შემდგარ მიტინგზე, რომელსაც 12.000 კაცი დაესწრო, სიტყვა წარმოსთქვა ა. შ. შტატების ფოსტის მინისტრმა უოკერმა.

„ამერიკის ჯარები,—დასძახა მან,—სულ უფრო და უფრო უახლოდებიან მტერს და მზად არიან იკისრონ ის ტვირთი, რომელსაც ასე წარმატებით ეწეოდა რუსეთი ორი წლის განმავლობაში. იმ თვეების განმავლობაში, როდესაც რუსეთი აკავებდა ჩვენს საერთო მტერს, ჩვენ დრო გვქონდა იმისათვის, რომ გამოგვეჭედა ჩვენი იარაღი. ახლა ეს იარაღი მზად არის მტრის წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

ომის შედეგად, რომ რუსეთმა მნიშვნელოვნად დასცალა სისხლისაგან აგრესორი, სთქვა დასასრ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე

24 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის 2 სადარაჯო კატერი და ტრანსპორტი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფამ თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაანადგურა გერმანელ მზვერავთა რაზმი. მავთულღობურებთან დარჩა მტრის 40 გვამი. ალეერებმა უმცროსმა სერჟანტმა ამხ. იაკიმენკომ და წითელარმიელმა ამხ. ჩერნოვმა შენიშნეს, რომ გერმანელმა ჯარისკაცებმა ტყის ნაპირას გამოაგორეს ქვემეხი და სროლის დასაწყებად ემზადებოდნენ. საბჭოთა სნაიპერებმა ორი გასროლით მოჰკლეს მტრის ორი არტილერისტი, დანარჩენებმა ხარბანი მიატოვეს და გაიქცნენ.

* * *

ელგოროდის რაიონში უფროსმა სერჟანტმა ამხ. მიშენინმა ტყვიამფრქვევის სამი ჯერი ესროლა გერმანელთა თვითმფრინავს, რომელიც ჩვენი პოზიციების თავზე მიფრინავდა. თვითმფრინავი კვამლში გაეხვია და დაბლა დაშვება იწყო. სერჟანტმა მიშენინმა კიდევ რამდენიმე ჯერი ესროლა, და მტრის თვითმფრინავი მიწას დაენარცხა ჩვენი წინა კიდის ახლოს.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ორმა ჯგუფმა სცადა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი ნაწილების პოზიციები. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა დროზე შენიშნეს გერმანელთა მოძრაობა, ახლო მანძილზე მოუშვეს ისინი და ქვეითი ჯარის ყველა სახის იარაღის ცეცხლი დაუშინეს. შეტევაზე გადმოსულ ჰიტლერელთა უმეტესობა მოსპობილ იქნა, დანარჩენებმა კი უწესრიგოდ უკან დაიხიეს.

სარატოვის გერმანელთა ცხრა ბომბდამშენმა ავიაგამანადგურებელთა სოფარქვეშ სცადა თავს დასხმოდა ჩვენს აეროდრომს. გერმანელთა ბომბდამშენები საზენიტო არტილერიის ძლიერი გადამღობი ცეცხლის ზონაში მოჰყვნენ, მიზანს ვერ მიაღწიეს და ისე ჩამოუყარეს ბომბები, რომლებიც დაცვიდა მინდორში და არავითარი ზარალი არ გამოუწვევია. ჩვენი ავიაგამანადგურებლები ჰაერში აფრინდნენ და ხრიოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს. საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა და სნაიპერებმა მტრის 270 ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. სნაიპერმა ივანე დენისენკომ მტრის სამი ჯარისკაცი მოჰკლა. სულ ომის დაწყებიდან მან 120 გერმანელი მოჰკლა. არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით დანგრეული და დაზიანებულია 29 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი, აფეთქებულია მოწინააღმდეგის საომარი მასალის სამი საწყობი.

* * *

ლენინგრადის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი რამდენიმე დღის განმავლობაში შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგემ 108 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით და იძულებული გახდა უკან დაეხია. პარტიზანებმა ტყვედ ჩაიგდეს 5 გერმანელი ჯარისკაცი და თარჯიმანი. ლენინგრადის სხვა რაზმის პარტიზანებმა გზატკეცილზე მოსპეს ერთი მუტუში და ორი საბარგო ავტომანქანა, მოჰკლეს გერმანელი პოლკოვნიკი, კაპიტანი და მტრის 15 ჯარისკაცი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 342-ე ქვეითი დივიზიის 698-ე პოლკის 1-ლი ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ვილჰელმ რუშკევიჩმა ჯანაცხადა: „ამას წინათ საბჭოთა ავიაციამ თავს დაესხა ქალაქ ელნიას სამხედრო ობიექტებს. ჩამოყრილი ბომბებით დანგრეულია გერმანელთა მე-9 საარმიო კორპუსის და 342-ე დივიზიის სასურსათო საწყობები. საგსებით მოსპობილია ფქვილის საწყობები, კონსერვის საწყობები და საწვავის საწყობი. თავდასხმისას მოკლულ და დაჭრილ იქნა გარნიზონის მრავალი ჯარისკაცი“.

* * *

წითელი არმიის ზამთრის შეტევის დროს ჰიტლერელთაგან განთავისუფლებულ ორიოლის ოლქის სოფელ ნიკანაია ზალეგოშის მცხოვრებლებმა ამას წინათ ქვის სარდაფში აპოვნეს ჰაერი აღარ შედიოდა. სარდაფში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დაახრჩეს ხუთი წლის გოგონა, ოთხი ქალი და 50 წლის მამაკაცი.

ოფ. ოსლავიელ პარტიზანთა ჯგუფმა გაბეღული თავდასხმა მოახდინა ქ. ზაგრების ახლოს მდებარე გერმანელთა აეროდრომზე. პატრიოტებმა დაბოცეს აეროდრომის მცველები, ღასწვეს 30 თვითმფრინავი და აეროდრომის ნაგებობანი. პარტიზანებმა ტყვედ ჩაიგდეს 55 გერმანელი. დასახლებულ პუნქტ გრაჩანიცის ახლოს პატრიოტებმა შეიჭრნენ გერმანელთა საზენიტო ბატარიის განლაგებაში და მოსპეს ქვემეხი და პროჟექტორები. რამდენიმე ჰიტლერელი წაყვანილია ტყვედ.

ყოველმხრივ მოვემზადოთ უხვი სამხედრო მოსავლის ასაღებად

იბრძვიან უხვი მოსავლისათვის

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მთელი რიგი კოლმეურნეობები დაწიაურდნენ ნათესების დამუშავებაში. სოფ. კვახჭირის კოლმეურნეობა „ბოიხესმა“ (თავმჯდომარე კ. აბულაძე) რაიონში პირველმა დაამთავრა რომგორც თესვა, ისე 212 ჰექტარი სიმინდის პირველი გათოხნა, ხოლო ბოსტნეული მეორედ არის გათოხნილი. ახლა აქ გაჩაღებულია სიმინდის მეორე თოხნა. მაღალხარისხოვნად ამუშავებენ ნათესებს ს. ყუფარაძის, ე. აბულაძის და ი. სუპატაშვილის ბრიგადები.

სიმინდის თოხნა დაწესებულ ვადაზე ადრე დაამთავრეს ავრეთვე სოფ. ოდილაურის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ (თავმჯდომარე ი. ჯანელიძე), სოფ. რიონის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე გ. ხანთაძე) და სოფ. ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა.

სოფ. ქვიტირის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ს. ჭეიშვილი) უკვე დაამთავრეს 25 ჰექტარი პამიდორისა და 9 ჰექტარი ბაღჩეულის გამრგვლა. ხოლო მეორედ გათოხნილია კარტოფილი, კიტრი, ხახვი, სტაფილო. ამ კოლმეურნეობაში მოწინავეა მეზუთე ბრიგადა რომელსაც კომჯავშირელი შოთა ჭეიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის კოლმეურნეებმა დიდად დადადეტეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველი პერიოდისათვის—15 ივნისისათვის დაწესებულ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს. კოლმეურნე ლარისა ჭეიშვილმა, რომლის ოთხი ძმა სამამულო ომის ფრონტზეა, აბრეშუმის ჭიის გამოკვებასთან ერთად დღემდე 71 შრომადღე გამოიმუშავა. 68 წლის მოხუცმა კოლმეურნემ სერაპიონ შალაშბერიძემ დღეისათვის გამოიმუშავა 80 შრომადღე, ხოლო კოლმეურნე ირაკლი მოსიავამ—100 შრომადღე.

სოფ. რიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მიმდინარე წელს თვალსაჩინოდ დაწინაურდა. აქ წარმატებით მიმდინარეობს როგორც სიმინდის თოხნა, ისე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. კოლმეურნეები ტ. ბოჭორიშვილი, ი. დოლიძე, გრ. ქობულაძე, ან. ბოჭორიშვილი, გულნარა ბოჭორიშვილი, თინა და შურა ჯიქიძეები თოხნის დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. მაგრამ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არიან საკოლმეურნეო შრომის გამცდენები. მაგალითად, გ. მაღლაფერიძე გრ. ბოჭორიშვილი და მ. მამრიკიშვილი ხშირად უმიზეზოდ აცდენენ სამუშაო დღეებს, ვერ ასრულებენ თოხნის დღიურ ნორმებს, მაინ ნამუშევარი დაბალი ხარისხისაა.

შ. ჯავახაძე

დაიწყო მოსავლის აღება

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). ნიჩბისა სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ქსოვრელი) 23 ივნისს დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და გალეწვა. აღნიშნულმა კოლმეურნეობამ 24 ივნისისათვის მიმღებ პუნქტს ჩაბარა 500 კილოგრამი ქერი. უახლოეს დღეებში მოსავლის აღება დაიწყება სოფ. წეროვნის, წილკნის და მუხრანის კოლმეურნეობებში.

ა. ქირია

გავწმინდოთ ნათესები სარეველა ბალახებისაგან

ბორჩალო („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული ნათესების დამუშავება. 15 ივნისისათვის რაიონის კოლმეურნეობებს 2.500 ჰექტარიდან პირველად გათოხნილი ჰქონდათ 1.619 ჰექტარი თაპბაქო, ხოლო მეორედ—869,3 ჰექტარი, კარტოფილი 250 ჰექტარიდან—პირველად—246,6 ჰექტარი, ხოლო მეორედ—91 ჰექტარი. ამავე ვადისათვის გათოხნილი იყო 608 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, ხოლო მეორედ დამუშავებული იყო 408,5 ჰექტარი. მიმდინარეობს სიმინდის, ამბასალათინის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების გამარგვლა და მწკრივთა შორის დამუშავება.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ დემურჩი გასანლის (თავმჯდომარე ვ. ზაალ-ოღლი), კაჩაგანის (თავმჯდომარე მ. ყურბან-ოღლი) და აშაღასარალის (თავმჯდომარე უ. ამიდოვი) სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები. კერძოდ, სიმინდის პირველი და მეორე თოხნა უკვე დაამთავრეს აშაღასარალის, დემურჩი გასანლის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა, ხოლო კარტოფილისა—ბორჩალოს, დემურჩი გასანლის, კულტიარის, გიაფარახის, აშაღასარალის, კასუმლის, სადახლოს და სხვა კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ბორჩალოს რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მთელი სერიოზულობით როდი ეკიდებიან ნათესების გამარგვლას და მწკრივთაშორის დამუშავებას. სოფ. კიზილ აჯილის შინსაბჭოს სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჯალალ კარხმაზი) 25 ჰექტარი სიმინდი მარცალია ორჯერ გათოხნეს, მაგრამ ბალახი ზერელედ გადასჭრეს. ამიტომ ნათესები ამაოდ მდლიანად დასარეველიანებულია და ხელახლა გათოხნას მოითხოვს. შუმიანის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებს 15 ივნისს 169 ჰექტარიდან პირველად გათოხნილი ჰქონდათ 84 ჰექტარი სიმინდი, მეორედ კი მხოლოდ 10 ჰექტარი. ასეთივე ჩამორჩენაა თამბაქოს ნათესების დამუშავებაში გასუმლის და შაუმიანის, ხოლო შაქრის ჭარხლის დამუშავებაში—ბორჩალოსა და კიზილ-აჯილის კოლმეურნეობებში.

ნათესების გულმოდგინედ მოვლა თითოეული კოლმეურნეობის პატრიოტული მოვალეობაა. გავაძლიეროთ ნათესების დამუშავების ტემპები, გავწმინდოთ ნათესები სარეველა ბალახებისაგან.

ტრ. თოდრაძე

აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძელი კოლმეურნეები წელს პარკის უხვ მოსავალს ღებულობენ. სოფ. მაკვანეთის ალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ალენა თიკანაძემ, რომელიც ჭიას ქისტურელ მეაბრეშუმეთა მეთოდის მიხედვით ჰკვებავდა 22 დღის განმავლობაში 10 გრამი თესლიდან ნაცვლად 26 კილოგრამისა მიიღო 105 კილოგრამი პარკი. ამ კოლმეურნეობაში მოწინავეა მეზუთე ბრიგადა რომელსაც კომჯავშირელი შოთა ჭეიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის კოლმეურნეებმა დიდად დადადეტეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველი პერიოდისათვის—15 ივნისისათვის დაწესებულ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს. კოლმეურნე ლარისა ჭეიშვილმა, რომლის ოთხი ძმა სამამულო ომის ფრონტზეა, აბრეშუმის ჭიის გამოკვებასთან ერთად დღემდე 71 შრომადღე გამოიმუშავა. 68 წლის მოხუცმა კოლმეურნემ სერაპიონ შალაშბერიძემ დღეისათვის გამოიმუშავა 80 შრომადღე, ხოლო კოლმეურნე ირაკლი მოსიავამ—100 შრომადღე.

56 კილოგრამის ნაცვლად მიიღეს 105 კილოგრამი პარკი. ასეთი მაგალითები რაიონში მრავალია.

სულ რაიონში უნდა დამზადდეს 170.000 კილოგრამი პარკი. ორი დღის განმავლობაში, 19 ივნისისათვის, დაშზადებული იყო 1.500 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი.

აბრეშუმის ჭიას განსაკუთრებით კარგად უვლიდნენ სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის, ლაშეს მახარაძის სახელობის, ჯუმათის სტალინის სახელობის, ზვანის ორჯონიკიძის სახელობის და ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობების წევრები.

ლ. ლოლაძე

აბრეშუმის პარკის ჩაბარება

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). სოფ. მუხრანისა და ქსოვრისის კოლმეურნეობებში დაიწყეს აბრეშუმის პარკის ჩაბარება. სოფ. ქსოვრისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ძიძიგური) გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის ჩაბარების სახელმწიფო დავალება. ნაცვლად 104 კილოგრამისა ჩაბარებულია 142 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი.

დაიწყო თამბაქოს შეგება

ლაგოდეხი („კომუნისტის“ კორ.). თამბაქოს პლანტაციების დამუშავება წარმატებით მიმდინარეობს. თამბაქოს მოსავალს კარგი პარი უჩანს.

სოფ. ორჯონიკიძის ეორიოლოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლობაძე) შეტეხილია 350 ზონარ-მეტრი თამბაქო, სოფ. აფენის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ (თავმჯდომარე ქაშაკაშვილი)—400 ზონარ-მეტრი.

თამბაქოს მოსავლის აღება ამ დღეებში რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დაიწყება.

დეპეშები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 25 ივნისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის აეროდრომებზე, სამრეწველო და სარკინიგზო ობიექტებზე საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში. მარტო ჰოლანდიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთზე თავდასხმებში მონაწილეობას იღებდა 400-დან 500-მდე თვითმფრინავი. ოპერაციების რაიონი ვრცელდებოდა ფლისინგენიდან (ჰოლანდია) კოტანტენის ნახევარკუნძულამდე (საფრანგეთი). ყველა ობიექტში, რომლებმაც დაბომბვა განიცადეს, აღნიშნულია ძლიერი ხანძრები და აფეთქებანი.

24 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი ძალები კვლავ დაესხნენ თავს დასავლეთ გერმანიას; იერიშების ძირითადი ობიექტი იყო ელბერფელდი—ვუპერტალის დასავლეთი ნაწილი. დაბომბვა თითქმის ისევე ძლიერი იყო, როგორც ამას წინათ ვუპერტალის აღმოსავლეთ ნაწილზე—ბარმენზე ჩატარებული თავდასხმა. მიყენებულია ფრიად დიდი ზარალი.

ინგლისის თვითმფრინავთა სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს რურის მთელ რიგ ობიექტებზე და დანაღმეს მტრის წყლები. ყველა ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 35 თვითმფრინავი.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში 23 ივნისს ღამით დაბომბვა განიცადეს კუნძულებმა სარდინიამ და სიცილიამ. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 20 თვითმფრინავი.

ამერიკის მძიმე ბომბდამშენები გუშინ თავს დაესხნენ აეროდრომს სალონიკში. აღნიშნულია, რომ ბომბები მოხვდა სამ ანგარს, ცეცხლი გაუჩნდა საწვავის საწყობს.

ლონდონის მოსახლეობა ჰუშავს ოკუპანტთა ღონისძიებებს

ლონდონი, 25 ივნისი (საკადესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, გერმანელთა ცდამ მოეხდინათ საბერძნეთის მოსახლეობის იძულებითი მობილიზაცია გერმანიაში ან თვით საბერძნეთში სამუშაოდ, უძლიერესი წინააღმდეგობა გამოიწვია. პირველსავე დეკრეტს მობილიზაციის ჩატარების შესახებ გაფიცვებისა და დემონსტრაციების აზვირთებით შეხვდნენ. მასობრივ პატრიოტულ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსახლეობის უფართოესმა ფენებმა, მათს შორის სტუდენტობამ და სამოვდელოებამ, ათენში ჩატარებულ იქნა ორდღიანი საპროტესტო გაფიცვა. სალონიკში ვრცელდებოდა ფურცლები, რომლებიც ბერძენ ხალხს მოუწოდებდნენ პარტიზანთა რაზმებში შესვლისაკენ.

ანკარა, 25 ივნისი (საკადესი). ამას წინათ გერმანელთა და იტალიელთა სადამსჯელო რაზმებმა სკადეს პარტიზანთაგან გაეწმინდათ რაიონი თესალიასა და მაკედონიას შუა ჩრდილოეთ საბერძნეთში. ოკუპანტების ყოველმა ცდამ ჩაეხშოთ აქ პატრიოტული მოძრაობა, სრული მარცხი განიცადა. ბერძენ პარტიზანებს ფაქტიურად ხელში უპირავთ მთელი ეს რაიონი.

„ჭირვეული ცოლის მორჯულება“

გორის სახელმწიფო თეატრში

გორის სახელმწიფო თეატრმა წელს სეზონში ისეთი რთული კლასიკური კომედიის დადგმა განახორციელა, როგორიცაა შეექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“. ეს სპექტაკლი გამოცდა იყო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივისათვის და უნდა აღვნიშნოთ, თეატრმა ეს გამოცდა კარგად ჩაბარა.

პიესა დასდგეს პ. ფარანგიშვილმა და მა-ლა-ლ-ა-ლ-ა-ლ-